დანართი №1

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება

შპს მენაფირის აკადემია

შეფასების თარიღები ---------- 1 და 2 სექტემბერი

დასკვნის წარდგენის თარიღი ---------- 26 სექტემბერი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
დაწესებულების სახელწოდება	შპს მენაფირის აკადემია
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
საგანმანათლებლო დაწესებულების	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერები: თ. მიდელაშვილი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

(გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	216351043

ავტორიზაციის მოპოვების შემთხვევაში, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის სურვილია განახორციელოს:	
დაწყებითი ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა	**დიახ**
საბაზო ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა	**დიახ**
საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა	**დიახ**
საბაზო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამა	**არა**
საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამა	**არა**

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	**რუსთავი**
იურიდიული მისამართი	**ქ. რუსთავი, ლომოურის ქ, № 6**
ფაქტობრივი მისამართი	**ქ. რუსთავი, ლომოურის ქ, № 6**
საფოსტო ინდექსი	**3700**
დაწესებულების ვებ-გვერდი	https://menaphireacademy.edupage.org/
დაწესებულების ელ-ფოსტა	**menaphireacademy@gmail.com**
დაწესებულების ტელეფონის ნომერი/ფაქსი	**0341 276450**
ხელმძღვანელი/წარმომადგენელი (სახელი, გვარი)	**თეიმურაზ მენაფირე**
ტელეფონის ნომერი/ფაქსი	**595377727**
ელ-ფოსტა	**teimurazmenaphire@gmail.com**

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

საავტორიზაციო ვიზიტის საფუძველი	საჯარო სამართლის იურიდიული პირი - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის, ბრძანება MES 3 22 0000944692, 25/08/2022. „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შექმნისა და შპს მენაფირის აკადემიაში

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერები: თ. მიდელაშვილი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	ვიზიტის შესახებ“
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	1 და 2 სექტემბერი, 2022 წ.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე (სახელი, გვარი)	ნოდარ ანგურიძე
წევრი (სახელი, გვარი)	თამარ მიდელაშვილი

IV. ვიზიტის შეჯამება

ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემაჯამებელი ცხრილი

სტანდარტი/ქვესტანდარტი		ავტორიზაციის დებულების შესაბამისი მუხლი / პუნქტი	სტანდარტი დაკმაყოფილებულია	სტანდარტი არაა დაკმაყოფილებული
1.ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამები		**მუხლი 6**	☒	☐
1.1	სასკოლო სასწავლო გეგმა გამომდინარეობს სკოლის მისიიდან და შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას	**მუხლი 6/ პუნქტი ა)**	☒	☐
1.2	სასკოლო სასწავლო გეგმა პასუხობს შესაბამისი საფეხურის მოსწავლეთა მოთხოვნებს და საშუალებას აძლევს მათ შეიძინონ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცოდნა, უნარები და ღირებულებები	**მუხლი 6/ პუნქტი ბ)**	☒	☐
1.3	სასკოლო სასწავლო გეგმა მოსწავლეს უზრუნველყოფს სწავლისა და განვითარების თანაბარი შესაძლებლობებით. სკოლას აქვს სპეციალური	**მუხლი 6/ პუნქტი გ)**	☒	☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერები: თ. მიდელაშვილი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	პროგრამა განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის			
1.4	სკოლაში არსებული მოსწავლეთა შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას. შეფასების კრიტერიუმები გამჭვირვალეა, ცნობილია სასკოლო საზოგადოებისთვის და შედეგები გამოიყენება მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გასაუმჯობესებლად	**მუხლი 6 / პუნქტი დ)**	☒	☐
1.5	შემუშავებულია მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირების წესი და მშობელი უზრუნველყოფილია სასკოლო ცხოვრებაში მონაწილების შესაძლებლობით	**მუხლი 6 / პუნქტი ე)**	☒	☐
1.6	შემუშავებულია სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმი	**მუხლი 6 / პუნქტი ვ)**	☒	☐
2. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მატერიალური რესურსი		**მუხლი 7**	☐	☒
2.1	დაწესებულებას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი მატერიალური რესურსი, მათ შორის:	**მუხლი 7 / პუნქტი ა)**	☒	☐
2.1.1	ერთ მისამართზე 250. კვ. მ. ფართი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო იღებს გადაწყვეტილებას 50 მოსწავლეზე ნაკლებგონტინგენტიანი სკოლის	**მუხლი 7/ პუნქტი ა.ა)**	☒	☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერები: თ. მიდელაშვილი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	ავტორიზაციის შესახებ. ფართზე უფლება უნდა დასტურდებოდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით			
2.1.2	საკლასო ოთახები, აღჭურვილი სათანადო ინვენტარით, კერძოდ: მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს მორგებული მერხებით, სასკოლო დაფებითა და სხვა აუცილებელი მატერიალური საშუალებებით	**მუხლი 7/ პუნქტი ა.ბ)**	☒	☐
2.1.3	სპორტული დარბაზი, აუზი ან მოედანი	**მუხლი 7 / პუნქტი ა.გ.)**	☒	☐
2.1.4	სათანადოდ აღჭურვილი ლაბორატორია/ლაბორატორიები	**მუხლი 7 / პუნქტი ა.დ)**	☒	☐
2.2.	სკოლაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები	**მუხლი 7 / პუნქტი ბ)**	☒	☐
2.3	სკოლაში არის სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი ბიბლიოთეკა სათანადო რაოდენობის წიგნადი ფონდით, პერიოდიკითა და სხვა დამხმარე მასალით	**მუხლი 7 / პუნქტი გ)**	☒	☐
2.4	სკოლას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის	**მუხლი 7 / პუნქტი დ)**	☐	☒
2.5	სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისათვის აუცილებელი საინფორმაციო და	**მუხლი 7 / პუნქტი ე)**	☒	☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერები: თ. მიდელაშვილი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, მათ შორის, ინტერნეტით მუდმივად უზრუნველყოფილი კომპიუტერები. ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას			
2.6	სკოლაში დაცულია პერსონალისა და მოსწავლეთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:	**მუხლი 7 / პუნქტი ვ)**	☒	☐
2.6.1	ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი	**მუხლი 7 / პუნქტი ვ. ა)**	☒	☐
2.6.2	თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა	**მუხლი 7 / პუნქტი ვ. ბ)**	☒	☐
2.6.3	სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები	**მუხლი 7 / პუნქტი ვ. გ)**	☒	☐
2.6.4	წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად	**მუხლი 7 / პუნქტი ვ. დ)**	☒	☐
2.6.5	კერძო სამართლის იურიდიული პირების – ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის – უსაფრთხოების კამერები, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლს და რომელიც შეესაბამება „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის	**მუხლი 7 / პუნქტი ვ. ე)**	☒	☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერები: თ. ბიდეიაშვილი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს			
2.7	სკოლას შემუშავებული აქვს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი წესდება, შინაგანაწესი ან გადაწყვეტილებების მიღების, საქმიანობის დაგეგმვისა და წარმართვის პროცედურათა ამსახველი სხვა დოკუმენტები	**მუხლი 7/ პუნქტი ზ)**	☒	☐
2.8	შემუშავებულია სკოლის განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს	**მუხლი 7/ პუნქტი თ)**	☒	☐
2.9	დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციების აღრიცხვა	**მუხლი 7/ პუნქტი ი)**	☒	☐
3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ადამიანური რესურსი		**მუხლი 8**	☐	☒
3.1	სკოლას ჰყავს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურსი	**მუხლი 8 / პუნქტი ა)**	☒	☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერები: თ. ბიდეიაშვილი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

3.2	სკოლის მასწავლებლები შერჩეულნი არიან ,,ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად	**მუხლი 8 / პუნქტი ბ)**	☐	☒
3.3	სკოლაში შემუშავებულია თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესები, ასევე წახალისებისა და სანქციების გამჭვირვალე სისტემა	**მუხლი 8 / პუნქტი გ)**	☒	☐
3.4	მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ, ტექნიკურ პერსონალსა და სკოლის სხვა თანამშრომლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები	**მუხლი 8/ პუნქტი დ)**	☒	☐
3.5	სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები	**მუხლი 8/ პუნქტი ე)**	☒	☐
3.6	სკოლაში არის დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო, რაც ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის შესაძლებლობათა მაქსიმუმის გამოვლენას, პასუხისმგებლობის გადანაწილებას	**მუხლი 8/ პუნქტი ვ)**	☒	☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერები: თ. მიდელაშვილი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

V. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი (სტანდარტთან შეუსაბამობა), რომელიც გამოვლინდა ვიზიტის პერიოდში ქვესტანდარტის მითითებით.

სტანდარტი	*საგანმანათლებლო პროგრამები*	*ხარვეზი*
ქვესტანდარტი	*1.1.*	.....
	1.2.	.....
სტანდარტი	*მატერიალური რესურსი*	
ქვესტანდარტი	*2.2.*	
	2.4	*გოგონებისთვის განკუთვნილი სველი წერტილი არ არის სრულად ადაპტირებული.*
	2.7	
სტანდარტი	*ადამიანური რესურსი*	
ქვესტანდარტი	*3.2.*	*მოსაწესრიგებელია მასწავლებელთა და თანამშრომელთა პირადი საქმეები*

VI. რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა რეკომენდაცია, რომლებიც მიეცა დაწესებულებას სტანდარტებთან უკეთ შესაბამისობის უზრუნველსაყოფად, ქვესტანდარტის მითითებით.

სტანდარტი	*საგანმანათლებლო პროგრამები*	*რეკომენდაცია*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერები: თ. მიდელაშვილი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

ქვესტანდარტი	*1.4*	*სკოლას მიეცა რეკომენდაცია შემაჯამებელი დავალებების აღდგენის შემთხვევაში ისარგებლოს ესგ - ს 32-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად*
სტანდარტი	*მატერიალური რესურსი*	
ქვესტანდარტი	*2.2.*	*გაზარდოს სველი წერტილების რაოდენობა, რომელიც საკმარისი იქნება მოთხოვნილი მოსწავლეთა რაოდენობისთვის*
	2.5.	სკოლას მიეცა რეკომენდაცია, რომ ინფორმაცია, რომელიც ვებ-გვერდზეა ატვირთული საჭიროებს განახლებას, რადგან ზოგიერთ მათგანზე ისევ სკოლის ძველი დასახელებაა მითითებული („სკოლის დაფა“), ზოგიერთ ღილაკზე დაჭერით ცარიელი გვერდი იხსნება მაგალითად „ბიბლიოთეკა“, „სკოლის ფსიქოლოგია“, „საგანმანათლებლო ხელმძღვანელი“ და სხვა.
	2.6	სკოლას ეძლევა რჩევა „საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და წესრიგის დაცვის წესი და პირობები“ შეათანხმოს სამინისტროსთან;
	2.7	დაწესებულებაში დასაქმების მსურველებისთვის, ისევე როგორც მითითებულია „ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა, პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმებში“, შინაგანაწესშიც მიუთითოს „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის“ ნასამართლობის ცნობის წარდგენა.
სტანდარტი	*ადამიანური რესურსი*	
ქვესტანდარტი	*3.2.*	

VII. დაწესებულების საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერები: თ. მიდელაშვილი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

საუკეთესო პრაქტიკის მაგალითი	სკოლა, თავის საუკეთესო პრაქტიკად მიიჩნევს ღონისძიებების ჩატარების ტრადიციას, რომლებიც იმართება 8 თებერვალს - დავით აღმაშენებლის ხსენების დღე; 9 აპრილს - საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტის მიღების დღე, საქართველოს ეროვნული ერთიანობის, სამოქალაქო თანხმობისა და სამშობლოსათვის დაღუპულთა მოგონების დღე; 14 აპრილს - დედაენის დღესთან დაკავშირებით და 26 მაისს - საქართველოს დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებით. ამ ღონისძიებებში მოსწავლეები ამზადებენ კედლის გაზეთებს, თემატურად, დღესთან დაკავშირებით, გამოფენენ სასკოლო სივრცეში და წარუდგენენ სასკოლო საზოგადოებას: პედაგოგებს, მშობლებს და სკოლის ადმინისტრაციას. წარდგენების შემდეგ იმართება საერთო სასკოლო სასცენო წარმოდგენა.

დაწესებულების მისია	შპს მენაფირის აკადემია არის კერძო სამართლის იურიდიული პირი, რომელიც რამდენიმე ათეული წელია უზრუნველყოფს მოსწავლეებისთვის ზოგადი განათლების მიღებას დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურებზე. მენაფირის აკადემიის მისიაა მსოფლიო გლობალიზაციის პირობებში არსებული გამოწვევების გათვალისწინებით, მისცეს მოსწავლეებს ზოგადი განათლება ჯანსაღ და უსაფრთხო სასკოლო გარემოში მდგრადი განვითარებისთვის და აღზარდოს ისინი ოჯახის, საზოგადოების, სახელმწიფოსა და გარემოს წინაშე პასუხისმგებლობის მქონე მოქალაქეებად. მენაფირის აკადემიის მისიაა ხელი შეუწყოს მოსწავლეებში გარემოზე, ისტორიული და კულტურული მემკვიდრეობის დაცვაზე ზრუნვის, კულტურული მრავალფეროვნების მიმართ პოზიტიური დამოკიდებულებისა და სხვების მიმართ ტოლერანტობის უნარ-ჩვევების ფორმირებას, სამეწარმეო საქმიანობისა და შემოქმედებითი უნარების, დამოუკიდებელი სწავლის უნარისა და შრომისუნარიანობის განვითარებას, მოსწავლეებში თავისუფალი აზრის, კრიტიკული და ანალიტიკური აზროვნების წახალისებას. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მისია მიიღწევა ისეთი სასკოლო გარემოს ფორმირებით, რომელიც ეფუძნება სასკოლო ტრადიციებს, თვითშეფასებისა და სწავლა სწავლების ანალიზს, სადაც სასკოლო საზოგადოება ორიენტირებულია საგანმანათლებლო საქმიანობის განვითარებასა და გაუმჯობესებაზე, სასკოლო კულტურისა და სასკოლო ინიციატივების წახალისებაზე, ზოგადი განათლების სფეროში არსებული საუკეთესო გამოცდილებების გაზიარებასა და დანერგვაზე. შპს მენაფირის აკადემია ზოგადსაგანმანათლებლო საქმიანობის ხარისხის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერები: თ. მიდელაშვილი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	გაუმჯობესებისა და განვითარებისათვის შეიმუშავებს სამოქმედო გეგმებს, რომელიც დროის მოთხოვნების შესაბამისად მუდმივად ცვალებადია.

VIII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

წინა ვიზიტის პერიოდში გაცემული რეკომენდაციების აღწერა	წინა ავტორიზაციის ვიზიტის დროს სკოლას რეკომენდაციები მიეცა რეკომენდაცია: სასკოლო სასწავლო გეგმაში განესაზღვრა შემაჯამებელი დავალებების ოდენობები. ვიზიტის პერიოდისთვის აღნიშნული რეკომენდაცია გათვალისწინებულია სასკოლო სასწავლო გეგმაში; სპორტის სახეობად აერჩია მინიმუმ სამი სპორტის სახეობა. ასეთი მოთხოვნა მოქმედი ეროვნული სასწავლო გეგმით აღარ არის გათვალისწინებული; გარე სპორტულ მოედანზე დაემონტაჟებინა კალათბურთის ფარები. გარე სპორტულ მოედანზე კალათბურთის ფარები დამონტაჟებულია; გარდა ამისა ავტორიზაციის ვიზიტის შემდგომ განხორციელდა მონიტორინგის ვიზიტი, სადაც სკოლას მიეცა რეკომენდაცია, რომ V-VI კლასებში საშინაო დავალების კომპონენტში მხოლოდ განმავითარებელი შეფასება გამოეყენებინა. ეს რეკომენდაციაც გათვალისწინებულია და სკოლა ამ კომპონენტში იყენებს მხოლოდ განმავითარებელ შეფასებას; გაიცა რეკომენდაცია საქმისწარმოების წესის შესრულებასთან მიმართებით, კერძოდ ის რომ ზოგიერთი მოსწავლის პირად საქმეში არ იყო მშობლის განცხადება მოსწავლის სკოლაში ჩარიცხვის მოთხოვნაზე. პირად საქმეებში არის მშობელთა განცხადებები მოსწავლეთა ჩარიცხვის მოთხოვნით; ასევე გაიცა რეკომენდაცია განათლების აღიარების წესის შესრულებაზე. მონიტორინგის შემდეგ ასეთი პროცედურა სკოლაში აღარ განხორციელებულა, არ ყოფილა ამის საჭიროება.

IX. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

	ექსპერტი ეთანხმება	აღწერა *(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერები: თ. მიდელაშვილი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

მოსწავლეთა რაოდენობა: 350	☒	*მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)*
	ექსპერტი არ ეთანხმება ☐	

X. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტები:

1.1 სასკოლო სასწავლო გეგმა გამომდინარეობს სკოლის მისიიდან და შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	შპს მენაფირის აკადემიის 2022-2023 სასწავლო წლების სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი გამომდინარეობს სკოლის მისიიდან და შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას. მისი შემადგენელი ნაწილებია: 1. სკოლის მისია და მისი მიღწევის სტრატეგია; 2. სწავლა-სწავლების კონცეპტუალური საკითხები; 3. სასწავლო პროცესის ორგანიზება; 4. სასკოლო საათობრივი ბადე; 5. სკოლის საერთო კულტურა; 6. კლასის დამრიგებელი; 7. საგნობრივი კათედრები; 8. საგანმანათლებლო რესურსები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერები: თ. მიდელაშვილი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	9. არჩეული გრიფმიჭებული სახელმძღვანელოები; 10. ინკლუზიური განათლება (ისგ-ის ჩარჩო პროექტი); 11. მოსწავლის შეფასების სისტემა (კლასისა და საფეხურის დაძლევა, გამოცდის ტიპები, შემაჯამებელი დავალებების სავალდებულო მინიმალური რაოდენობა და ფორმები, გაცდენები); 12. შინ სწავლება; 13. არჩევითი და ფაკულტატური საგნები; 14. ეროვნული სასწავლო გეგმით გაუთვალისწინებელი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურების ჩამონათვალი, საჭიროების დასაბუთება და აღწერილობა; 15. საგანმანათლებლო ღონისძიებების კალენდარი. სასკოლო სასწავლო გეგმას თან ერთვის სასკოლო საათობრივი ბადის პირველი მოდელი, რომელიც განსაზღვრავს საგნის/საგნების კვირეულ დატვირთვას და წლიური ჯამური საათების რაოდენობას. სასკოლო სასწავლო გეგმაში ასევე აღწერილია დისტანციური სწავლების შემთხვევაში გასათვალისწინებელი რეგულაციები და პროცედურები საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს რეკომენდაციების გათვალისწინებით. საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებელია სკოლა გადავიდეს დისტანციური ან შერეული (ჰიბრიდული) სწავლების მოდელზე. სკოლა დისტანციურ-ჰიბრიდულ მოდელზე სინქრონული სწავლებისას იყენებს თიმსის პლატფორმას. გაწერილია დისტანციური სწავლების დროის განრიგი, დღის რეჟიმი და მონიტორინგს მექანიზმები. სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრულ საგნებში შერჩეულია გრიფმინიჭებულ სახელმძღვანელოები, რომელთა ჩამონათვალი, როგორც სკოლის დირექტორმა აღნიშნა, სასწავლო წლის დაწყებამდე არაუგვიანეს ერთი კვირისა, აიტვირთება სკოლის ვებ-გვერდზე. უცხოური ენებიდან I-XII კლასებში ისწავლება ინგლისური ენა, ხოლო V -XII კლასებში მეორე უცხოურ ენად სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს რუსულ და გერმანულ ენებს. X, XI და XII კლასებში სასკოლო სასწავლო გეგმით შეთავაზებული იქნება შემდეგი არჩევითი საგნები: ამერიკისმცოდნეობა, სამედიცინო ბიოლოგია და ჯანმრთელობა, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების პრაქტიკული კურსი. დამატებითი მომსახურების ფარგლებში I-IV კლასის მოსწავლეები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერები: თ. მიდელაშვილი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	სარგებლობენ გახანგრძლივებული დღის რეჟიმით, ხოლო II-III კლასის მოსწავლეები-ჭადრაკის ელექტრონული პროგრამით და ცეკვის წრით. სასწავლო კვირა ხუთდღიანია. I კლასში გაკვეთილის ხანგრძლივობაა 35 წუთია, II – XII კლასში - 45 წუთი. 2022-2023 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი განხილული იყო 30 ივნისის პედაგოგიურ კრებაზე (გადმოგზავნილ დოკუმენტში დაფიქსირდა ტექნიკური ხარვეზი - **2022-2023 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტში ფიქსირდებოდა გარკვეული უზუსტობები, მაგალითად, დაწყებითი საფეხურის ამოცანებთან, არჩევითი საგნების განსაზღვრასთან, ინკლუზიურ სწავლებასთან, სსგ-ის პროექტის განილვის და არა დამტკიცების თარიღთან დაკავშირებით.** **ვიზიტის პერიოდში დაწესებულებამ გაითვალისწინა ექსპერტთა რეკომენდაციები, რჩევები და შესაბამისი ცვლილებებით წარმოადგინა 2022-2023 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი.** **საექსპერტო ვიზიტის დროს სკოლამ დააზუსტა და ასევე შესაბამისობაში მოიყვანა განსხვავებული მონაცემები სკოლის დებულებასა (თავი VII, მუხლი 21.6) და სასკოლო სასწავლო გეგმაში (თავი 3, მუხლი 6) კლასებში მოსწავლეთა მაქსიმალური რაოდენობის შესახებ და განსაზღვრა 18 მოსწავლით.** სკოლის მიერ წარმოდგენილი სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტით შესაძლებელი იქნება სკოლის მისიის მიღწევა და სასწავლო პროცესის ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად წარმართვა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	1. გასაუბრება სკოლის წარმომადგენლებთან; 2. 2022-2023 სასწავლო წლების სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი; 3. დებულება;
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერები: თ. მიღეველაშვილი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

1.2 სასკოლო სასწავლო გეგმა პასუხობს შესაბამისი საფეხურის მოსწავლეთა მოთხოვნებს და საშუალებას აძლევს მათ, შეიძინონ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცოდნა, უნარები და ღირებულებები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	დირექტორის მოადგილესა და ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ სკოლის უმთავრესი ამოცანაა, სასწავლო პროცესი მაქსიმალურად ორიენტირებული იყოს მოსწავლეთა საჭიროებებზე და სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესებაზე. ამ მიზნით სკოლაში შექმნილია 6 საგნობრივი კათედრა: • ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრა; • მათემატიკისა და ისტ-ის კათედრა; • საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრა; • საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრა; • უცხოური ენების კათედრა, რომლის შემადგენლობაშიც შედიან ინგლისური ენისა და მეორე უცხოური ენის (გერმანული, რუსული) მასწავლებლები; • სპორტისა და ესთეტიკური აღზრდის კათედრა. საგნობრივ ჯგუფებში გაერთიანებულია სკოლის ყველა მასწავლებელი. საგნობრივი კათედრებისა და პედაგოგთა პორტფოლიოებში განთავსებულია თემატური გეგმები, შემაჯამებელი სამუშაოების ამსახველი მასალები, ურთიერთდასწრებები, შეფასების რუბრიკები, სასწავლო პროექტები. საკლასო ოთახებში განთავსებულია მოსწავლეთა ნამუშევრები, პლაკატები. სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრულია სადამრიგებლო პროგრამები კლასების მიხედვით და სადამრიგებლო საათის ჩატარების რეკომენდაციები. დამრიგებლის კლასთან მუშაობა წარიმართება შემდეგი ფორმით: • საუბრები მოსწავლეებთან; • დისკუსიები; • ცნობილ ადამიანებთან შეხვედრები; • ექსკურსიები. ყველა დამრიგებელს აქვს პორტფოლიო, რომელიც მოიცავს ინფორმაციას სადამრიგებლო საათის ამსახველი მასალებისა და განხორციელებული აქტივობების შესახებ. სკოლის პოლიტიკა მოსწავლეებს საშუალებას აძლევს შეიძინონ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცოდნა, უნარები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერები: თ. მიდელაშვილი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	და ღირებულებები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	1. გასაუბრება დირექტორის მოადგილესა და ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერთან; 2. გასაუბრება კათედრების წარმომადგენლებთან; 3. კათედრების პორტფოლიოები; 4. მასწავლებლის პორტფოლიოები; 5. დამრიგებლის პორტფოლიოები; 6. სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.3 სასკოლო სასწავლო გეგმა მოსწავლეს უზრუნველყოფს სწავლისა და განვითარების თანაბარი შესაძლებლობით. სკოლას აქვს სპეციალური პროგრამა განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სასკოლო სასწავლო გეგმა მოსწავლეს უზრუნველყოფს სწავლისა და განვითარების თანაბარი შესაძლებლობით. სკოლას გაფორმებული აქვს ხელშეკრულება ფსიქოლოგთან. აღნიშნული მომსახურების მიზანია მოსწავლეებთან ინდივიდუალური მუშაობა, სხვადასხვა აქტივობების (საუბრების, შეხვედრების, ჯგუფური ტრენინგების) ჩატარება მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლებისა და სკოლაში ჯანსაღი ფსიქოლოგიური გარემოს შექმნის მიზნით. მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით, გასულ სასწავლო წელს დაგეგმილი იყო შეხვედრები განსხვავებული პროფესიის ადამიანებთან, ზეიმები, გასვლითი და სპორტული ღონისძიებები. სკოლას შემუშავებული აქვს მოსწავლეთა საკონსულტაციო მომსახურება, რაც გამოიხატება სწავლების ხარისხის გაუმჯობესებისა და საჭიროებების გათვალისწინებით სხვადასხვა საგნობრივ ჯგუფებში მოსწავლეებისთვის დამატებითი გაკვეთილების ჩატარებაში. სასკოლო-სასწავლო გეგმის პროექტის ნაწილს ასევე წარმოადგენს ინკლუზიური განათლების პოლიტიკა. შემუშავებულია სსს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერები: თ. მიდელაშვილი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	მოსწავლის აკადემიური მიღწევების შეფასების წესი, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ფორმა, განსაზღვრულია ისგ-ს ჯგუფის შექმნის დასწრებისა და გაცდენებთან დაკავშირებული რეგულაციები, ინფორმაცია სსსმ მოსწავლის შინ სწავლების შესახებ, აღწერილია ის პრევენციული მექანიზმები, რომელიც განაპირობებს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის უსაფრთხოებას. წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლითა და ჩატარებული გასაუბრებების მიხედვით დგინდება, რომ მოსწავლეებს შექმნილი აქვთ შესაძლებლობების გამოვლენის, სწავლისა და თანაბარი განვითარების ხელშემწყობი გარემო. ამ ეტაპზე სკოლას სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე არ ჰყავს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	1. სკოლის 2022-2023 ს/წ სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი; 2. ვიზუალური დათვალიერება; 3. მშობლებთან გასაუბრება.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.4 სკოლაში არსებული მოსწავლეთა შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას. შეფასების კრიტერიუმები გამჭვირვალეა, ცნობილია სასკოლო საზოგადოებისათვის და შედეგები გამოიყენება მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გასაუმჯობესებლად	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	მოსწავლეთა შეფასების სისტემა მიზნად ისახავს სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაზე ზრუნვას. მოსწავლეთა აკადემიური მიღწევები ფასდება ათქულიანი სისტემით. ყველაზე დაბალი ქულა არის 1, ხოლო ყველაზე მაღალი ქულა - 10. კლასიდან კლასში გადასაყვანი და საფეხურის დამლევის მინიმალური ბარიერია 5 ქულა. სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტით განსაზღვრულია შეფასების პრინციპები, რუბრიკები და კრიტერიუმები სამი კომპონენტის (საშინაო, საკლასო და შემაჯამებელი დავალებები) მიხედვით. შეფასების კრიტერიუმები გამჭვირვალეა და ცნობილია მოსწავლეებისა და მშობლებისათვის. სასკოლო-სასწავლო გეგმის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერები: თ. მიდელაშვილი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	პროექტის დანართად დაწესებულებამ წარმოადგინა შეფასების რუბრიკები და განმავითარებელი შეფასებს ფორმები. თითოეული საგნისთვის, ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად, განსაზღვრულია სასწავლო წლის განმავლობაში ჩასატარებელი შემაჯამებელი დავალებების სავალდებულო მინიმალური რაოდენობა და ანალიზის ფორმები. განსაზღვრულია შემაჯამებელი დავალების აღდგენის ვადები, ჩატარების წესი და პირობები, რომლის მიხედვითაც, მოსწავლე ვალდებულია შეასრულოს კლასში ჩატარებული ყველა შემაჯამებელი დავალება. ,, <u>თუ მოსწავლე არ შეასრულებს რომელიმე შემაჯამებელ დავალებას გაცდენის გამო, საგნის მასწავლებელთან შეთანხმებით, სკოლა მისცემს მას გაცდენილი შემაჯამებელი დავალებების აღდგენის საშუალებას იმ შემთხვევაში, თუ წარმოადგენს ერთ-ერთს ქვემოთ ჩამოთვლილთაგანს:</u> • <u>სამედიცინო ცნობას ;</u> • <u>მშობლის ახსნა–განმარტებას, შემაჯამებელი სამუშაოს გაცდენის მიზეზის შესახებ;</u> • <u>საერთაშორისო სასპორტო და სახელოვნებო ღონისძიებებში მონაწილეობის დამადასტურებელ წერილს (2022-2023 სასწავლო წლის სსგ. 11.4.10)“.</u> **<u>აღნიშნული შეზღუდვა არ არის შესაბამისობაში ეროვნულ სასწავლო გეგმის 32-ე მუხლთან, მაგრამ, ვინაიდან აღნიშნული წესით არ უსარგებლია სკოლას, მიეცა რეკომენდაცია სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტში აღნიშნულ მუხლში შესაბამისი ცვლილების შეტანის თაობაზე.</u>** სასკოლო სასწავლო გეგმა ასევე განსაზღვრავს გაცდენების აღრიცხვის წესს, ექსტერნატის გამოცდების დანიშვნის წინაპირობას, გაცდენების გამო, შინ სწავლების წესებს. სასკოლო-სასწავლო გეგმაში მითითებულია გამოცდების ტიპები, მოცემულია ინფორმაცია სემესტრული, საშემოდგომო და ექსტერნატის გამოცდების შესახებ. როგორც სკოლის მენეჯმენტმა აღნიშნა, 2022-2023 სასწავლო წლისათვის პრიორიტეტული მიმართულება იქნება კომპლექსური დავალებებისა და განმავითარებელი შეფასებების დანერგვა სასწავლო პროცესში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	1. ინტერვიუ სასკოლო საზოგადოებასთან (მოსწავლე, მშობელი, მასწავლებელი, ადმინისტრაციის წარმომადგენლები);

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერები: თ. ბიდეაშვილი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	2. სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი; 3. ელექტრონული ჟურნალი; 4. კათედრის პორტფოლიოები; 5. მასწავლებლის პორტფოლიოები.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.5 შემუშავებულია მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირების წესი და მშობელი უზრუნველყოფილია სასკოლო ცხოვრებაში მონაწილეობის შესაძლებლობით	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლის შინაგანაწესში და სასკოლო სასწავლო გეგმაში განსაზღვრულია კლასის დამრიგებლის უფლება-მოვალეობანი, მათ შორის, მოსწავლის მშობლების/კანონიერი წარმომადგენლის ინფორმირების მექანიზმები. კლასის დამრიგებელი მოვალეა დროულად მიაწოდოს ინფორმაცია მშობელს სკოლის მიზნების, დაგეგმილი ღონისძიებების, მოსწავლის აკადემიური მოსწრების, ემოციური თუ ინტელექტუალური განვითარების შესახებ. მშობლებს საშუალება ეძლევათ ყველა სახის შენიშვნა, წინადადება და რეკომენდაცია გააგზავნონ სკოლის დირექტორის პირად ელ-ფოსტაზე ან წინადადებები განათავსონ სკოლის ფოიეში განთავსებულ ყუთში. გარდა ამისა, სკოლასა და მშობელს შორის ურთიერთობა რეგულირდება ხელშეკრულებით და შინაგანაწესით, რომელიც ითვალისწინებს ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს, როგორებიც არის: სკოლისა და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის ურთიერთვალდებულებები, მშობლის სკოლაში გამოცხადების წესი, მოსწავლის მშობელთან კომუნიკაციის სტრატეგია, მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირებისა და მშობელთა კრებების ჩატარების წესი. გათვალისწინებულია მოსწავლეთა პერსონალური მონაცემების დაცვის საკითხები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	1. შინაგანაწესი; 2. 2022-2023 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი; 3. გასაუბრება მშობლებთან; 4. ელექტრონული ჟურნალი.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერები: თ. მიდელაშვილი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.6 შემუშავებულია სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმი	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას შემუშავებული აქვს სასკოლო-სასწავლო გეგმის შეფასებისა და გაუმჯობესების მექანიზმი. ამ მიზნით შექმნილია შეფასებისა და ხარისხის განვითარების ჯგუფი. აღნიშნული დოკუმენტი ითვალისწინებს შემდეგი ღონისძიებების განხორციელებას: • სასწავლო პროცესის მონიტორინგი; • ესგ-ში შესული ცვლილებების გათვალისწინება სასკოლო-სასწავლო გეგმაში; • მოსწავლეთა, მასწავლებელთა და მშობელთა გამოკითხვა, გამოკითხვის შემდგომი ანალიზი; • გაკვეთილების შეფასება-ანალიზი; • მონიტორინგის შედეგების გათვალისწინებით მოსწავლეთა საჭიროებებზე მორგებული სასკოლო სასწავლო გეგმის შექმნა. სკოლის სასწავლო გეგმის განხორციელების მონიტორინგსა და ხარისხის კვლევას აწარმოებს ხარისხის მართვის მენეჯერი. შეფასების შედეგების განხილვა ხდება კათედრისა და პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე. ხარისხის მართვის მენეჯერის და კათედრის ხელმძღვანელთა მიერ კვლევისა და ანალიზის ანგარიშები სკოლას ეხმარება შემდეგი სასწავლო წლის პრიორიტეტული მიზნების განსაზღვრაში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	1. სასკოლო-სასწავლო გეგმის პროექტი; 2. სასკოლო-სასწავლო გეგმის შეფასებისა და გაუმჯობესების მექანიზმი; 3. ინტერვიუირება ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერთან და დირექტორის მოადგილესთან;
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

რეკომენდაციები:	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერები: თ. მიდელაშვილი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

რჩევები:	
ხარვეზები:	
სტანდარტის შეფასება	☒ სტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ სტანდარტი დარღვეულია

2. მატერიალური რესურსი

2.1 დაწესებულებას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი მატერიალური რესურსი, მათ შორის:	
ა) ერთ მისამართზე არსებული საერთო ფართი: 1406,70	
დაწესებულების საერთო ფართის ოდენობა მისამართების მიხედვით:	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი	შპს მენაფირის აკადემია ფუნქციონირებს 2 სართულიან შენობაში, რომლის მესაკუთრეა თვითონ სკოლა და ფიზიკური პირი. სკოლა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერები: თ. მიღეველაშვილი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

მიმოხილვა და ანალიზი	ფლობს შენობის ნაწილს - პირველ და მეორე სართულზე, რომლის ფართი 1699,74 კვ.მ.-ია, ხოლო მეორე მესაკუთრე ასევე ფლობს პირველი და მეორე სართულის ნაწილსა და ანტრესოლს. შენობის ეს ნაწილი სრულიად იზოლირებულია სკოლის ფართისგან. მისასვლელიც კი, სკოლის შესასვლელი ქუჩის პარალელური ქუჩიდან აქვს. აღსანიშნავია, რომ საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით, შენობა განთავსებულია მიწის ნაკვეთზე, რომლის ფართი 1580,00 კვ.მ-ია და რომელიც მთლიანად შენობას უკავია. აღნიშნულ მიწის ნაკვეთის კოდი, საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით, არის **02. 04. 02. 573.** მისი შესაბამისი საკადასტრო გეგმა იხილე ბმულზე: http://abstract.reestri.gov.ge/abstract/cad_amo.php?cad_code=02.04.02.573 საგულისხმოა, რომ მხოლოდ ეს საკადასტრო კოდი წარმოადგინა სკოლამ ავტორიზაციის განაცხადთან ერთად და თვითშეფასების კითხვარის წარდგენისას. რეალურად კი, სკოლის შენობას წინ აქვს ეზო, რომელიც კაპიტალურად შემოღობილია. ეზოში მოწყობილია სპორტული მოედანი, რომელსაც სკოლა იყენებს სწავლა-სწავლების პროცესში. ეზოს მიმდებარედ, აშენებულია შენობა საბავშვო ბაღისთვის, რომელსაც დამოუკიდებელი შესასვლელი აქვს. ვიზიტის დროს გაირკვა, რომ ამ მიწის ნაკვეთის (ანუ ეზოს, სპორტული მოედნის და საბავშვო ბაღის შენობის) მფლობელიც ასევე არის სკოლა, რომელიც სკოლას უნდა დაეფიქსირებინა თვითშეფასების წარმოდგენისას. აღნიშნულ მიწის ნაკვეთზე ამონაწერი საჯარო რეესტრიდან და მისი შესაბამისი საკადასტრო გეგმა იხილე ბმულზე: http://abstract.reestri.gov.ge/abstract/cad_amo.php?cad_code=02.04.02.704 მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდია: 02.04.02.704. ამ მიწის ნაკვეთის საკადასტრო გეგმა სკოლამ ატვირთა „ვიზიტის დროს წარმოდგენილ დოკუმენტებში“, სადაც ჩანს, რომ მიწის ნაკვეთის მეპატრონე შპს ზვიად გამსახურდიას სახელობის დავით მენაფირის სკოლა "ლამპარი" , ID ნომერი: 216351043 (ანუ ამ მონაწერში სკოლა ისევ ძველი სახელითაა).

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერები: თ. ბიდეაშვილი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

ფაქტობრივი მისამართი	ქ. რუსთავი, ლომოურის ქ N6
მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი	02. 04. 02. 573
კვ.მ.	შენობის ფართი 1699,74
მტკიცებულებები/ინდიკატორები	ამონაწერი საჯარო რეესტრიდან; საკადასტრო გეგმა; ვიზუალური დათვალიერება.
შეფასება	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

ბ) საკლასო ოთახები, აღჭურვილი სათანადო ინვენტარით, კერძოდ: მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს მორგებული მერხებით, სასკოლო დაფებითა და სხვა აუცილებელი მატერიალური საშუალებებით	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლაში არის 24 საკლასო ოთახი. ვიზიტის პერიოდში პირველი სართულის გარკვეულ ნაწილში მიმდინარეობდა რემონტი, ამიტომ მერხები ყველა საკლასო ოთახში არ იყო. მათი ნაწილი დერეფანში იყო. მთლიანად საკლასო ოთახებში, დერეფანსა და საწყობში 350 ერთეულზე მეტი ინდივიდუალური მერხი და სკამია. შესყიდვის დოკუმენტაციით სკოლას გაცილებით მეტი მერხი და სკამი აქვს შესყიდული. საკლასო ოთახში და საწყობში არის მასწავლებლისთვის განკუთვნილი მაგიდა/მერხი და სკამი, ასევე დაფები. შენობაში არის ფიზიკის, ქიმია, ბიოლოგიის და კომპიუტერული ლაბორატორიები, სამასწავლებლო, დირექტორის კაბინეტი, ბიბლიოთეკა, სამედიცინო ოთახი და სხვა დამხმარე სათავსოები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	1. ვიზუალური დათვალიერება; 2. შესყიდვის დოკუმენტაცია;
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერები: თ. მიდელაშვილი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

გ) სპორტული დარბაზი, აუზი ან მოედანი	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლა სარგებლობს მომიჯნავე ტერიტორიაზე არსებული სპორტული მოედნით, რომელიც ასევე სკოლის საკუთრებაა, თუმცა, როგორც ზემოთ აღინიშნა, ამის შესახებ სკოლას არ გაუკეთებია განაცხადი თვითშეფასების კითხვარის შევსებისას და საავტორიზაციო განაცხადის წარდგენისას. სკოლას ასევე აქვს სპორტული დარბაზი, შენობის პირველ სართულზე, რომელშიც ვიზიტის დროს მიმდინარეობდა რემონტი. სკოლას მიეცა რჩევა, რომ მოსწავლეთა უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად სპორტული მოედნის მყარი საფარი დაფარონ რბილი საფარით. სკოლას შეძენილი აქვს კალათბურთის, ფეხბურთის, ფრენბურთის ბურთები, ე.წ. „ფიშკები“ და სხვა ინვენტარი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	1. ვიზუალური დათვალიერება; 2. სპორტული ინვენტარი.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

დ) სათანადოდ აღჭურვილი ლაბორატორია/ლაბორატორიები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლაში არის ფიზიკის, ქიმიის და ბიოლოგიის ლაბორატორია შესაბამისი, სტანდარტული, განათლების ხარისხის ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 9 აგვისტოს N572 ბრძანების შესაბამისი ლაბორატორიული აღჭურვილობით, გამწოვით, ნიჟარა და ონკანით, ბუნებრივი განათებითა და განიავებით. სკოლას შემუშავებული აქვს სასკოლო ლაბორატორიით სარგებლობის წესი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	1. ვიზუალური დათვალიერება; 2. შესყიდვის დოკუმენტაცია;
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერები: თ. მიდელაშვილი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.2 სკოლაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო. ყველა საკლასო ოთახს აქვს ბუნებრივი განათება. შენობაში დამონტაჟებულია და ფუნქციონირებს <u>ავტონომიური</u> გათბობის სისტემა, ყველა საკლასო ოთახში. ელექტროენერგია, გაზი და წყალი მიეწოდება საქალაქო ქსელიდან. სკოლა წარმოადგენს დამოუკიდებელ აბონენტს. სკოლის ორივე სართულზე მოწყობილია სველი წერტილები, რომელიც უზრუნველყოფილია ჰიგიენის საშუალებებით. სველი წერტილები პირველ სართულზე განკუთვნილია ვაჟებისთვის და პერსონალისთვის. ვაჟების სველ წერტილში სულ ორი კაბინაა, და ერთი კაბინა განკუთვნილია სსსმ მოსწავლისთვის. მეორე სართულზე არსებული სველი წერტილი მოსწავლე გოგონებისთვისაა, სადაც ასევე ორი კაბინაა, რომლის ერთი კაბინა სსსმ მოსწავლისთვისაა. სკოლას მიეცა რეკომენდაცია, გაითვალისწინოს სველი წერტილების დამატება, რადგან შესაძლოა არსებული მოსწავლეთა რაოდენობის (180 მოსწავლე) პირობებში კაბინები საკმარისია (დირექტორმა ინტერვიუირებისას განმარტა, რომ არ დაფიქსირებულა სველი წერტილების უკმარისობის შემთხვევები), მაგრამ მოთხოვნილი მოსწავლეთა რაოდენობის (350 მოსწავლე) სრული დატვირთვის შემთხვევაში, არსებული სველი წერტილები არ იქნება საკმარისი. დირექტორი დაეთანხმა მოსაზრებას სველი წერტილების დამატების შესახებ და განმარტა, რომ მომავალ საზაფხულო არდადეგებზე აუცილებლად დაამატებდა სველ წერტილებს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	1.ვიზუალური დათვალიერება; 2.შესყიდვის დოკუმენტაცია;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერები: თ. მიდელაშვილი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	3. ინტერვიუ დირექტორთან.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ქვესტანდარტი დარღვეულია

2.3 სკოლაში არის სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი ბიბლიოთეკა სათანადო რაოდენობის წიგნადი ფონდით, პერიოდიკითა და სხვა დამხმარე მასალით	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლის მეორე სართულზე განთავსებულია და ფუნქციონირებს ბიბლიოთეკა. ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი შეადგენს 2365. გარდა ამისა ბიბლიოთეკაში არის ყველა კლასის გრიფირებული სახელმძღვანელო, გარდა მე-10 კლასისა, რომლის შეძენასაც აპირებს. წიგნები დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად. სკოლა აწარმოებს წიგნების აღრიცხვას საინვენტარო წიგნის მეშვეობით. აქვს სისტემური და ანბანური კატალოგი. სკოლას ჰყავს ბიბლიოთეკარი. ბიბლიოთეკართან გაფორმებულია შესაბამისი ხელშეკრულება. შემუშავებულია ბიბლიოთეკის დებულება, ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი და სასკოლო ბიბლიოთეკის მუშაობის კონცეფცია. ბიბლიოთეკაში არის ინტერნეტით უზრუნველყოფილი კომპიუტერი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	1. ვიზუალური დათვალიერება; 2. ბიბლიოთეკის დებულება; 3. ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი; 4. ბიბლიოთეკის კონცეფცია.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.4 სკოლას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი	სკოლას შენობის პირველ სართულზე მოწყობილი აქვს სველი წერტილი მოსწავლე ვაჟებისთვის, რომლის ერთი კაბინა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერები: თ. მიღვაშვილი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

მიმოხილვა და ანალიზი	ადაპტირებულია სრულად, ხოლო მეორე სართულზე სველი წერტილი განკუთვნილია მოსწავლე გოგონებისთვის, რომლის ერთი კაბინა ადაპტირებულია ნაწილობრივ, კერძოდ მოწყობილია მისასვლელი და ხელის მოსაკიდი, თუმცა არ არის უნიტაზი. სკოლის შენობაში შესასვლელი და სართულზე ასასვლელ კიბეზე დამონტაჟებულია ასაკეცი პანდუსი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	1. ვიზუალური დათვალიერება.
შეფასება:	☐ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☒ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.5 სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისათვის აუცილებელი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, მათ შორის, ინტერნეტით მუდმივად უზრუნველყოფილი კომპიუტერები. ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას აქვს სასკოლო-სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისათვის აუცილებელი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები. სკოლას შესყიდული აქვს 32 კომპიუტერი, თუმცა ვიზიტის პერიოდში მხოლოდ 21 იყო მუშა მდგომარეობაში. სკოლაში ასევე არის პრინტერები და ქსეროქსები. სკოლის საინფორმაციო და საკომუნიკაციო ფუნქციას ასრულებს სკოლის ვებგვერდი https://menaphireacademy.edupage.org/ და ელექტრონული ჟურნალი ,,EduPage“. სკოლის ვებ-გვერდზე განთავსებულია ინფორმაცია სიახლეების, სკოლის დოკუმენტაციის, პერსონალის შესახებ და სხვა. სკოლას მიეცა რეკომენდაცია, რომ ინფორმაცია, რომელიც ვებ-გვერდზეა ატვირთული საჭიროებს განახლებას, რადგან ზოგიერთ მათგანზე ისევ სკოლის ძველი დასახელებაა მითითებული („სკოლის დაფა“), ზოგიერთ ღილაკზე დაჭერით ცარიელი გვერდი იხსნება მაგალითად „ბიბლიოთეკა“, „სკოლის ფსიქოლოგია“, „საგანმანათლებლო ხელმძღვანელი“ და სხვა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	1. ვიზუალური დათვალიერება;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერები: თ. მიღეველაშვილი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	2. კომპიუტერების შესყიდვის დოკუმენტაცია; 3. დომეინის და ჰოსტინგის შესყიდვის დოკუმენტაცია.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.6 სკოლაში დაცულია პერსონალისა და მოსწავლეთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:	
ა)ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას შემუშავებული აქვს ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების მექანიზმები. ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით, სკოლის შენობაში განთავსებულია ცეცხლმაქრები, ევაკუაციის გეგმით განსაზღვრულ ადგილებში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	1. ვიზუალური დათვალიერება; 2. შესყიდვის დოკუმენტაცია.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია
ბ) თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლის შენობის ორივე სართულზე, თვალსაჩინო ადგილას განთავსებულია საევაკუაციო გეგმები, რომელიც მომზადებულია შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მიერ.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	1.ვიზუალური დათვალიერება.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია
გ) სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი	სკოლას ჰყავს ექიმი და ექთანი. შემუშავებული აქვს „სამედიცინო დახმარების აღმოჩენისა და საგანგებო სიტუაციების დროს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერები: თ. მიღეველაშვილი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

მიმოხილვა და ანალიზი	გასატარებელ ღონისძიებათა ნუსხა“. აღნიშნული წესით რეგულირდება, როგორც სკოლის ექიმის და ექთნის მიერ მოსწავლეთა მიმართ განხორციელებული სამედიცინო მომსახურეობის წესი, ასევე, მათ მიერ სკოლის სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის კონტროლი, ძალადობის, არასათანადო მოპყრობის ან სხვა მსგავსი ფაქტების აღმოჩენისას რეაგირების წესი და სხვა ექიმი აწარმოებდა ჟურნალს, სადაც აღრიცხავს სამედიცინო დახმარების მიზნით მიმართვების, გაწეულ პროცედურების და აღმოჩენილი დახმარების შესახებ ინფორმაციას, ჩანაწერების წიგნაკი არ იყო მოთხოვნების შესაბამისი. სკოლას მიეცა რეკომენდაცია ჟურნალების წარმოება შეუსაბამოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2022 წლის 21 მარტის №41/ნ/01-23/ნ ერთობლივი ბრძანების დანართით განსაზღვრული ფორმით აწარმოოს „დახარჯული მედიკამენტებისა და სამედიცინო მასალების აღრიცხვა“ და „ვადაგასული მედიკამენტებისა და სამედიცინო მასალების აღრიცხვა“. სკოლამ რეკომენდაცია ვიზიტის მიმდინარეობისას გაითვალისწინა და ჟურნალები გააკეთა ზემოაღნიშნული ბრძანების დანართების შესაბამისად. შენობაში ყველგან ხელმისაწვდომია სადეზინფექციო სითხის მოწყობილობები, ასევე გამოკრულია ვირუსის პრევენციის ამსახველი პოსტერები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	1.ვიზუალური დათვალიერება; 2.ექთანთან გასაუბრება; 3.შესყიდვის დოკუმენტაცია.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერები: თ. მიდელაშვილი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

დ) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში, სკოლამ ინტერვიუირებისას თავდაპირველად განაცხადა, რომ შემუშავებული არ ჰქონდა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის 06/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების“ შესაბამისი საკუთარი წესი. სკოლამ ეს გადაწყვეტილება ახსნა ამავე ბრძანების 1-ლი მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „კერძო სკოლა ვალდებულია იხელმძღვანელოს ამ წესით და დაიცვას იგი ან საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან შეთანხმებით შეიმუშაოს შესაბამისი წესი, რომელიც უზრუნველყოფს ამ წესით განსაზღვრული პრინციპების სრულად დაცვასა და ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული მიზნების მიღწევას“. ექსპერტებმა დაუდასტურეს, რომ უფლება ჰქონდა მინისტრის დამტკიცებული ბრძანების გამოყენება, თუ კი განუხრელად იცავს მას, მაგალითად თუ ჰყავს „მრჩეველთა საბჭო“, როგორც ამას ბრძანება მოითხოვდა. სკოლამ თანხმობა განაცხადა თუმცა, ვიზიტის მიმდინარეობისას, „ვიზიტის დროს წარმოდგენილ დოკუმენტებთან“ ერთად გადმოაგზავნა ბრძანება #25, 07.07.2022, რომლის თანახმად **დამტკიცებული აქვს საკუთარი** „უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები“, რომელიც, როგორც გაირკვა, **არ არის შეთანხმებული სამინისტროსთან.** სკოლას მიეცა რეკომენდაცია დაუყონებლივ შეათანხმოს იგი. ამ წესთან ერთად, სკოლას ჰყავს 2 უსაფრთხოების მანდატური (დირექტორის ბრძანება #31, 01.09.2022), რომლებსაც ევალებათ აღნიშნული ბრძანების (#25, 07.07.2022) შესრულებაზე კონტროლი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	1. უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი; 2. „უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერები: თ. მიდელაშვილი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	პირობების დამტკიცების შესახებ“ ბრძანება #25, 07.07.2022 3. უსაფრთხოების მანდატურების დანიშვნის ბრძანება.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია
ე) კერძო სამართლის იურიდიული პირების – ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის – უსაფრთხოების კამერები, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლს და რომელიც შეესაბამება „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	ვიზიტის პერიოდში სკოლის შენობის შიდა და გარე პერიმეტრი სრულად ვერ კონტროლდებოდა ვიდეოკამერებით. სკოლის შენობის შიდა სივრცის ვიდეო დათვალიერება არ ხდებოდა კიბის უჯრედებში და პირველი სართულის დერეფნის ერთ ნაწილში, მეორე სართულის დერეფანი და პირველი სართულის დერეფნის ნაწილი კონტროლდებოდა. სკოლის გარე პერიმეტრს აკონტროლებს 2 კამერა -მთავარ შესასვლელს, თუმცა სათადარიგო (საევაკუაციო) გასასვლელზე კამერა არ იყო. სკოლამ გაითვალისწინა ექსპერტთა რეკომენდაცია და ვიზიტის მიმდინარეობისას შეიძინა 3 კამერა და დაამონტაჟა ზემოაღნიშნულ გაუკონტროლებელ ადგილებში. კამერების გამოსახულებები აისახება მონიტორზე, პირველ სართულზე უსაფრთხოების მანდატურის ოთახში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	1. ვიზუალური დათვალიერება; 2. შესყიდვის დოკუმენტაცია; 3. სასაქონლო ზედნადები; 4. საბანკო გადარიცხვა;
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.7 სკოლას შემუშავებული აქვს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი წესდება, შინაგანაწესი ან

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერები: თ. მიღვაშვილი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

გადაწყვეტილებების მიღების, საქმიანობის დაგეგმვისა და წარმართვის პროცედურათა ამსახველი სხვა დოკუმენტები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	დაწესებულებას შემუშავებული აქვს წესდება, სკოლის შინაგანაწესი, დებულება და სტრუქტურული ერთეულების საქმიანობის ამსახველი დოკუმენტები. წესდებით განსაზღვრულია: სკოლის სახელი, იურდიული მისამართი, საქმიანობის სფერო, საფინანსო წელი, სკოლის დამფუძნებლები, გადაწყვეტილების მიღების წესები, მართვის წესი, ფუნქცია-მოვალეობები, ლიკვიდაცია და დასკვნითი დებულებები. სკოლის შინაგანაწესი განსაზღვრავს: სამუშაო კვირის ხანგრძლივობას, სამუშაო და დასვენების დროს, სასწავლო პროცესის მონიტორინგის ფორმებს და ფარგლებს, შრომითი ურთიერთობის წარმოშობას, შეწყვეტას, შრომითი ურთიერთობის პირობებს, შრომის ანაზღაურების გაცემის, შვებულების ხანგრძლივობისა და მისი გაცემის წესებს; წახალისების ფორმებს. დასაქმებულთა და მოსწავლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის წესებს, მოსწავლის სკოლაში ჩარიცხვისა და სკოლიდან გადაყვანის პირობებს, დასაქმებულისა და მოსწავლის ჩაცმულობის წესს განაცხადის/საჩივრის განხილვის წესს, შრომის პირობების დაცვასთან დაკავშირებულ ზოგად ინსტრუქციებს და დასკვნით დებულებებს. სკოლის შინაგანაწესი წარმოადგენს სკოლასა და დასაქმებულებს შორის გაფორმებული შრომითი ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს. სკოლის დებულებით განსაზღვრულია სკოლის სტრუქტურა, სტრუქტურული ერთეულების საქმიანობის მომწესრიგებელი რეგულაციები. შინაგანაწესის და დებულების მარეგულირებელი ნორმები ძირითადად შესაბამისია მოქმედი კანონმდებლობის, თუმცა იყო, რამდენიმე შეუსაბამობა, რაც სკოლამ ვიზიტის მიმდინარეობის დროს გამოასწორა და შესწორება შეტანილი დოკუმენტები ატვირთა „ვიზიტის დროს წარმოდგენილ დოკუმენტებში“. მაგრამ დარჩა გამოსასწორებელი შინაგანაწესში, კერძოდ სამუშაოზე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერები: თ. მიდელაშვილი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	მისაღებ პირთა მიმართ წაყენებულ სავალდებულო დოკუმენტების ჩამონათვალში არ არის მითითებული „ზოგადი განათლების შესახებ“ კანონის, 33[1] მუხლით მოთხოვნილი „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის“ ნასამართლობის არ არსებობის დამადასტურებელი ცნობა. ამასთანავე, უნდა აღინიშნოს, რომ ამ შინაგანაწესისგან განსხვავებით, ცნობის წარმოდგენა ჩაწერილია დაწესებულების მიერ შემუშავებულ დოკუმენტში „ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა, პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები“. სკოლას მიეცა რეკომენდაცია, *ისევე როგორც მითითებულია „ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა, პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმებში“, შინაგანაწესშიც მიუთითოს „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის“ ნასამართლობის ცნობის წარდგენა.*
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	*1.* სკოლის დებულება; *2.* სკოლის შინაგანაწესი; *3.* ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა, პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.8 შემუშავებულია სკოლის განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს 6 წლიანი სტრატეგიული და ერთ წლიანი სამოქმედო გეგმები. როგორც წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან ირკვევა, სკოლა დაგეგმვისას იყენებს SWOT ანალიზის მეთოდოლოგიას. ავტორიზაციის მასალებთან ერთად სკოლის გადმოგზავნილი 6

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერები: თ. მიდელაშვილი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	წლიანი სტრატეგიულ გეგმა მოიცავდა 2022-2027 წლებს. ექსპერტთა შენიშვნაზე, რომ ეს 5 წლიანი გეგმაა და არა 6 წლიანი, სკოლამ განმარტა, რომ გულისხმობდა კალენდარულ წლებს, თუმცა რადგან სამოქმედო გეგმა აგებული იყო სასწავლო წლის მიხედვით (2022/2023), ამიტომ გაიზიარა ექსპერტთა შენიშვნა და მიზანშეწონილად მიიჩნია, რომ კორექტირება გაეკეთებინა სტრატეგიული გეგმისთვის და ისიც განესაზღვრა სასწავლო წლების მიხედვით. დამადასტურებლად, სკოლამ, ვიზიტის მიმდინარეობისას, „ვიზიტის დროს წარმოდგენილ დოკუმენტებში“ ატვირთა კორექტირებული 2022-2028 წლების სტრატეგიული გეგმა. სტრატეგიული გეგმა სხვა აქტივობებთან ერთად ითვალისწინებს მატერიალური რესურსის გამოყენებასა და გაუმჯობესებას, მათ შორის: სკოლის შენობის კეთილმოწყობას; მიმდინარე სარემონტო სამუშაოებს; ლაბორატორიის და კლას-კაბინეტების მოწყობას; დამატებით სათვალთვალო კამერების დამატებას (რაც განახორციელა კიდეც); სკოლის ბიბლიოთეკის წიგნადი და საცნობარო მასალით გამდიდრებას, ელექტრონული წიგნადი ფონდის შექმნას. რაც შეეხება ერთწლიან სამოქმედო გეგმას, მასში გათვალისწინებულია მატერიალური ბაზის გაუმჯობესების პუნქტები: შენობის ფლობის, ელექტრო და წყალმომარაგების, კომუნიკაციების სისტემებთან დაკავშირებული დოკუმენტაციის მომზადებას; სკოლის მატერიალური ბაზის აღწერას, ინვენტარიზაციასა და შესაბამისი დოკუმენტების შედგენას; საკლასო ოთახების, ბიბლიოთეკის, საკონფერენციო და სპორტული დარბაზის აღჭურვა საჭირო ინვენტარით; შენობის რემონტი, ეზოს, ბიბლიოთეკის, შენობის ფოიეს კეთილმოწყობა (როგორც ზემოთ აღინიშნა, ვიზიტის დროს სკოლაში მიმდინარეობდა სარემონტო სამუშაოები, ამდენად სრულდებოდა სამოქმედო გეგმის ეს ნაწილი). ორივე გეგმაში მითითებულია შესრულების დრო ან/და პერიოდი და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერები: თ. მიდელაშვილი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	1. 6 წლიანი სტრატეგიული გეგმა; 2. 1 წლიანი სამოქმედო გეგმა; 3. Swot ანალიზი.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.9 დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლაში ერთიანი საქმისწარმოების წესი დამტკიცებულია დირექტორის ბრძანებით და მასში ნებისმიერი ცვლილების შეტანა ხორციელდება ამავე წესით. წინამდებარე წესი ვრცელდება სკოლის ყველა სახის დოკუმენტაციაზე და ყველა თანამშრომლისათვის ადგენს საქმისწარმოების ერთიან და სავალდებულო წესებს. საქმისწარმოების წესის მიხედვით სკოლაში აღირიცხება შემდეგი დოკუმენტაცია: ა) შემოსული კორესპონდენცია; ბ) გასული კორესპონდენცია; გ) შრომითი ხელშეკრულებები; დ) პედაგოგიური საბჭოს ოქმები; ე) სკოლის დირექტორის ბრძანებები; ვ) მოსწავლეთა მობილობის შესახებ ბრძანებები; ზ) მოსწავლეთა ჩაწერის ანბანური წიგნი. საქმისწარმოების წესში განმარტებულია თითოეული სახის დოკუმენტაციის აღრიცხვის წესი. სკოლა ასევე ახდენს შრომითი ხელშეკრულებების რეგისტრაციას; მშობელთან გაფორმებული ხელშეკრულების რეგისტრაციას. საქმისწარმოების ჟურნალები დანომრილია, ზონარგაყრილია, დამოწმებულია სკოლის ბეჭდით და დირექტორის ხელმოწერით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	1. ბრძანებების რეგისტრაციის ჟურნალები; 2. შემოსული დოკუმენტაციის სარეგისტრაციო ჟურნალი; 3. გასული დოკუმენტაციის სარეგისტრაციო ჟურნალი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერები: თ. მიდელაშვილი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	4. ხელშეკრულებების სარეგისტრაციო შესაბამისი ჟურნალები; 5. საქმისწარმოების წესი.
შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

რეკომენდაციები:	1. *გოგონებისთვის განკუთვნილი სველი წერტილის ადაპტირება განახორციელოს სრულად;*
რჩევები:	
ხარვეზები:	*გოგონებისთვის განკუთვნილი სველი წერტილი არ არის სრულად ადაპტირებული.*
სტანდარტის შეფასება	მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☐ **სტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☒ **სტანდარტი დარღვეულია**

3. ადამიანური რესურსი

3.1 სკოლას ჰყავს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურსი	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას შემუშავებული აქვს სტრუქტურა და საშტატო განრიგი. ვიზიტის პერიოდში დაწესებულებამ წარმოადგინა სკოლის მართვის საინფორმაციო სისტემის პორტირებული მონაცემები, რომლის მიხედვითაც სკოლა უზრუნველყოფილია სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი ადმინისტრაციული, ტექნიკური და დამხმარე შემდეგი პერსონალით: დირექტორი - 1 საშტატო ერთეული, დირექტორის მოადგილე - 2 საშტატო ერთეული, ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი - 1 საშტატო ერთეული, საქმისმწარმოებელი - 1 საშტატო ერთეული, ბიბლიოთეკარი - 1 საშტატო ერთეული, მასწავლებლები - 26

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერები: თ. მიღეველაშვილი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	საშტატო ერთეული, ბუღალტერი - 1 საშტატო ერთეული, ინფორმაციული ტექნოლოგიების მენეჯერი - 1 საშტატო ერთეული, მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის მენეჯერი - 1 საშტატო ერთეული, ექიმი/ექთანი - 2 საშტატო ერთეული, ფსიქოლოგი - 1 საშტატო ერთეული,- 1 საშტატო ერთეული, დამლაგებელი - 1 საშტატო ერთეული, დარაჯი - 2 საშტატო ერთეული. ადმინისტრაციული და დამხმარე ტექ-პერსონალის და მასწავლებელთა უფლება-მოვალეობები გაწერილია დებულებაში, სამუშაო აღწერილობებსა და ხელშეკრულებებში. სკოლაში ვიზიტის პერიოდში ირიცხებოდა 180 მოსწავლე, დასაქმებული იყო 41 თანამშრომელი, მათ შორის, 26 მასწავლებელი. სკოლას ვაკანტურ ადგილებზე გამოცხადებული ჰქონდა კონკურსი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	1. სკოლის საშტატო განრიგი; 2. თანამშრომელთა პირადი საქმეები; 3. სკოლის დებულება.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ინფორმაცია მასწავლებელთა შესახებ	
პედაგოგთა საერთო რაოდენობა	26
მოწვეული/მაძიებელი	12
პრაქტიკოსი მასწავლებლი	
უფროსი მასწავლებლი	14
წამყვანი მასწავლებლი	
მენტორის სტატუსი	

3.2 სკოლის მასწავლებლები შერჩეულნი არიან ,,ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	დაწესებულებაში სულ დასაქმებულია 41 თანამშრომელი, მათ შორის, 26 მასწავლებელი. აქედან, 14 მასწავლებელი არის უფროსი, 12 - მოწვეული მასწავლებელი. პირად საქმეებში წარმოდგენილია მასწავლებელთა სტატუსების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერები: თ. მიდელაშვილი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	ამსახველი დოკუმენტაცია, განსაკუთრებული დამსახურებები და ჯილდოები, სერტიფიკატები, მაგრამ შემოწმებისას აღმოჩენილი <u>იქნა ცალკეული ხარვეზები:</u> <u>თანამშრომელთა პირადი საქმეების ნაწილში არ იყო წარმოდგენილი ცნობები ნასამართლობის შესახებ და ასევე, არ იყო ცნობები სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისათვის,</u> <u>სკოლის იურისტის განმარტებით, საექსპერტო ვიზიტის პერიოდში ყველა მათგანმა გააკეთა განაცხადი შსს-ს მომსახურების სააგენტოში და 5 სამუშაო დღის განმავლობაში იქნებოდა მათი მიღება შესაძლებელი.</u> ინფორმაცია ვაკანსიების თაობაზე თავსდება სკოლის ვებ–გვერდზე და ვრცელდება სხვა საინფორმაციო საშუალებებით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	1. საშტატო განრიგი; 2. შინაგანაწესი; 3. პირადი საქმეები; 4. შრომითი ხელშეკრულებები; 5. კონკურსის ჩატარების წესი; 6. ინტერვიუ მასწავლებლებთან; 7. eSchool-ის მართვის ერთიანი საინფორმაციო ბაზა;
შეფასება:	☐ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☒ ქვესტანდარტი დარღვეულია

3.3 სკოლაში შემუშავებულია თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესები, ასევე წახალისებისა და სანქციების გამჭვირვალე სისტემა	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლის მასწავლებლები შერჩეულნი არიან საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს 174/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის“ შესაბამისად. ვაკანსიები ცხადდება http://teacherjobs.ge/ -ზე. სკოლას შემუშავებული აქვს ვაკანტური საათების შესავსებად კონკურსის ჩატარების წესი, რომელიც არეგულირებს კონკურსის გამოცხადებასა და ჩატარებასთან დაკავშირებულ საკითხებს,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერები: თ. მიდელაშვილი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	განსაზღვრავს კანდიდატის შესაბამისობას ვაკანტური საათების დასაკავებლად დადგენილ სავალდებულო მოთხოვნებთან. დოკუმენტში აღწერილია კონკურსის პროცედურები, მათ შორის - მონაწილეობისათვის განცხადების წარდგენის ვადები, კომისიის შემადგენლობა, კომისიის მიერ გადაწყვეტილების მიღების წესი და სხვა. ახალი მასწავლებლების შერჩევა ხდება კონკურსის საფუძველზე რაც დადასტურდა როგორც პერსონალთან გასაუბრებით, ისე საკონკურსო დოკუმენტაციის, მათ შორის, ოქმების გაცნობით. სკოლის შინაგანაწესის მეოთხე-მეშვიდე თავებში დეტალურადაა აღწერილი თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესები, შრომითი ურთიერთობების წარმოება, შრომითი ურთიერთობის პირობები, შვებულების ხანგრძლივობის, ანაზღაურების, შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტა/საბოლოო ანგარიშსწორების წესები. შინაგანაწესის მერვე თავში განსაზღვრულია დასაქმებულის წახალისებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმები და ფორმები. დასაქმებულთა მოტივაციის გაზრდის მიზნით გამოყენებულია თანამშრომელთა წახალისების შემდეგი ფორმები: ა) სკოლის დირექტორის მიერ ბრძანებით მადლობის გამოცხადება; ბ) საპატიო სიგელით დაჯილდოება; გ) ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება; დ) ერთჯერადი (ფულადი) პრემიის გაცემა; ე) დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის ვადაზე ადრე მოხსნა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	1. მასწავლებელთა პირადი საქმეები; 2. მასწავლებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები; 3. საკონკურსო დოკუმენტაცია; 4. ინტერვიუ მასწავლებლებთან; 5. დირექტორის ბრძანებები მასწავლებელთა წახალისებისა და მადლობის გამოცხადების შესახებ;
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერები: თ. მიდელაშვილი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

3.4 მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ, ტექნიკურ პერსონალსა და სკოლის სხვა თანამშრომლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ, ტექნიკურ პერსონალსა და სკოლის სხვა თანამშრომლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები. ხელშეკრულებებში არის ის ძირითადი პუნქტები, რომელიც შრომის კოდექსის მოთხოვნითაა გათვალისწინებული. კერძოდ გარდა მხარეთა უფლება მოვალეობებისა, გვხვდება კუთვნილი შვებულებით სარგებლობის, ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურების შესახებ, შრომის ანაზღაურების, სამუშაო და დასვენების დროს შესახებ ჩანაწერი; ასევე დავების გადაწყვეტის წესისა და პერსონალური მონაცემების დამუშავების შესახებ დასაქმებულის თანხმობა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	შრომითი ხელშეკრულებები;
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

3.5 სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	შპს მენაფირის აკადემიაში შემუშავებულია „ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა, პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები“. დანერგილია სკოლის ბაზაზე განვითარების სისტემა. კათედრები პორტფოლიოებში და დირექტორის მოადგილის პორტფოლიოში წარმოდგენილია გაკვეთილზე დასწრების და დასწრების შემდგომი პროცესების აღმწერი დოკუმენტაცია. გაკვეთილზე დასწრების შემდეგ მასწავლებელს ეძლევა რეკომენდაციები. გარდა ამისა მასწავლებლები პროფესიული განვითარების მიზნით ესწრებიან სხვადასხვა ტრენინგებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერები: თ. მიღეველაშვილი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	სხვა თანამშრომელთა პროფესიული განვითარების შესახებ, სკოლის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ სკოლის ინგლისურის მასწავლებელთან და IT სპეციალისტთან სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა (დირექტორი, მისი მოადგილეები, ბუღალტერი და საქმისმწარმოებელი) გაიარეს ინგლისურისა და კომპიუტერული უნარების განვითარების ტრენინგები და ამ ტრენინგის დამადასტურებლად, დაწესებულებამ „ვიზიტის დროს წარმოდგენილ“ დოკუმენტებში ატვირთა ფაილი სახელწოდებით „ადმინისტრაციის ტრენინგები“, რომელიც ტრენინგების მოკლე ანგარიშს წარმოადგენს და რომელშიც მითითებულია ტრენინგის დასახელება, ვინ გაიარა ტრენინგი, ვინ იყო ტრენერი და რა ინტენსივობით ჩატარდა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	1. შპს მენაფირის აკადემიის „ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა, პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები“ 2. გაკვეთილზე დასწრების ანგარიშები; 3. „ადმინისტრაციის ტრენინგების“ მოკლე ანგარიში; 4. ინტერვიუ.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

3.6 სკოლაში არის დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო, რაც ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის შესაძლებლობათა მაქსიმუმის გამოვლენას, პასუხისმგებლობის გადანაწილებას	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლაში არის დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო. ასეთი ატმოსფეროს შექმნაზე სკოლა მზაობას აცხადებს სასკოლო სასწავლო გეგმიდანაც, რომლის მე-5 პუნქტში ვკითხულობთ: „5.სკოლის საერთო კულტურა სკოლა ხელს შეუწყობს სასკოლო საზოგადოებაში ურთიერთპატივისცემისა და თანასწორობის პრინციპების დაცვას,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერები: თ. მიდელაშვილი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	შემოქმედებითი და თანამშრომლობითი გარემოს შექმნას;“ აკადემიური აქტივობების პარალელურად სკოლაში ხორციელდება აქტივობები არაფორმალური განათლების მიმართულებით, რომელშიც სასკოლო საზოგადოების ყველა წარმომადგენელია ჩართული და რომლის შესახებაც „სკოლის საუკეთესო პრაქტიკის“ პუნქტში იყო საუბარი. კერძოდ, ღონისძიებები, რომლებიც იმართება: 8 თებერვალს - დავით აღმაშენებლის ხსენების დღე; 9 აპრილს - საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტის მიღების დღე, საქართველოს ეროვნული ერთიანობის, სამოქალაქო თანხმობისა და სამშობლოსათვის დაღუპულთა მოგონების დღე; 14 აპრილს - დედაენის დღესთან დაკავშირებით; 26 მაისს - საქართველოს დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებით; ასევე ყოველ შემოდგომაზე ტარდება პროექტები შემოდგომის შესახებ, გასულ შემოდგომაზეც ჩატარდა პროექტი „შემოდგომის ზეიმი“. ამ ღონისძიებებში მოსწავლეები ამზადებენ კედლის გაზეთებს, ნახატებს, თემატურად, კონკრეტულად იმ დღესთან დაკავშირებით, რომელ დღესაც იმართება ღონისძიება. კედლის გაზეთებს და ნახატებს გამოფენენ სასკოლო სივრცეში და წარუდგენენ სასკოლო საზოგადოებას (მოსწავლეებს, პედაგოგებს, მშობლებს და სკოლის ადმინისტრაციას). წარდგენების შემდეგ იმართება საერთო სასკოლო სასცენო წარმოდგენა. ინტერვიუირებისას მშობლებმა, მოსწავლეებმა და მასწავლებლებმა დაადასტურეს სკოლაში კეთილგანწყობილი და უსაფრთხო გარემოს არსებობა და ის, რომ მთავარია პირს ჰქონდეს სურვილი, რადგან სკოლაში შექმნილია გარემო, რომ მან გამოავლინოს საკუთარი შესაძლებლობების მაქსიმუმი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	მოსწავლეებთან, პედაგოგებთან და მოსწავლეებთან გასაუბრება; სასკოლო სასწავლო გეგმა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერები: თ. მიღვანაშვილი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

რეკომენდაციები:	თანამშრომელთა პირად საქმეებში არ არის ცნობები სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისათვის, 10 პედაგოგის პირადი საქმეში ასევე არ იყო წარმოდგენილი ცნობები ნასამართლობის შესახებ.
რჩევები:	
ხარვეზები:	მოსაწესრიგებელია მასწავლებელთა და თანამშრომელთა პირადი საქმეები
სტანდარტის შეფასება	მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☐ სტანდარტი დაკმაყოფილებულია ☒ სტანდარტი დარღვეულია

XI. თანდართული დოკუმენტაცია

ქ. თბილისი. 26.09.2022.

(შევსების ადგილი) თარიღი
გვერდების რაოდენობა 46

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერები: თ. მიღეველაშვილი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.